ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №5
2021 წლის 28 აპრილი

ქ. ხონი

## ,,ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ"ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მარტის №88 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მარტის №88 დადგენილებაში (www.macne.gov.ge 010250020.35.119.016392 13/03/2019) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1.პროგრამის პირველი თავის პირველი მუხლის „ყ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციიით:

„ყ" ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 15 წლამდე აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა;''

2. პროგრამის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირების (შემდგომში – ბენეფიციარები) ერთჯერადი სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/ თანადაფინანსება ყველა სახის სამედიცინო მომსახურებაზე, მათ შორის, სამედიცინო მომსახურების გაწევაზე ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში (გარდა მასაჟისა, პლასტიკურ-ესთეტიკური ქირურგიის, სამკურნალო-კურორტული და სტომატოლოგიური მომსახურება, ლოგოპედის მომსახურება, მშობიარობა, საკეისრო კვეთა).

3. პროგრამის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „ლ" ქვეპუნქტი:

„ლ. ხელშეკრულება ვალის აღიარების შესახებ."

4. პროგრამის 25-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 25. ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 15 წლამდე აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის დაფინანსება/ თანადაფინანსების პროგრამა.".**

5. პროგრამის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტს დაემატოს სიტყვები „რომლის გაახლებაც უნდა მოხდეს თორმეტ თვეში ერთხელ;" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ. ექიმ-სპეციალისტის მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა IV-N100) რომლის გაახლებაც უნდა მოხდეს თორმეტ თვეში ერთხელ;".

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ვალერი ბახტაძე